ქართული მკურნალობით განსწავლულ მკურნალის

სიმონ ცოტაძის

ქ ა რ თ უ ლ ი

დ ი პ ლ ო მ ი ს ა მ ბ ა ვ ი

ისტორიული მიმოხილვა

VIII—XV ს ა უ კ უ ნ ე მ დ ი ს

ზ.ჭიჭინაძისა

ტფილისი
ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხანოვის პრ. № 91.
1925

ქართული მკურნალობით განსწავლულ ექიმთა დიპლომის ამბავი

ისტორიული მიმოხილვა.

1923 წელს, მე დავბეჭდე წიგნი სახელდობ: – „ქართულის მკურნალობის ისტორიიდამ და ქართული მკურნალობით განსწავლული სიმონ დავითის ძე ცოტაძე“.

ამ წიგნის გამოცემას თბილიზში ბევრი მტერი გამოუჩნდა, საქართველოს მთავარ საექიმოს გამგეობის ექიმებთ შორის გამოჩნდნენ ექიმნი, რომელთაც ჩვენ გამოცემულ წიგნის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს, რასაც მალე მოჰყვა კამათი და უმაღლეს მთავრობის ექიმებთა შორის მიწერ-მოწერაც გაიმართა.

ზოგიერთნი სიმონ ცოტაძეს ამხელდენ, რომ შენ ექიმობის დიპლომი არა გაქვს და ამიტომ ექიმობაც არ შეგიძლიან, თუ ამას არ დაიშლი, მაშინ ჩვენ მთავრობის კანონის ძალით ექიმობას აგიკრძალავთო.

ეხლა ამის შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ, რომ ვინმემ რამე უმეცრება არ დაგვწამოს.

პატივცემულ მსწავლულ მკურნალებს, ასეთი სამდურავის უფლება აქვსთ, რომ მათ ასე თამამათ ილაპარაკონ, ასეთი მუქარების და საყვედურიც განაცხადონ, ასეთს მუქარებას და საყვედურებს მეც პატივს ვსცემ, ვინაიდგან თუ ასეთი მკაცრი საქციელი და მუქარება არა, უამისოთ შეიძლება, რომ ქ. თბილისში და სხვაგანაც მრავლად გაჩნდნენ ისეთ უმეცარ ექიმბაშები, ექიმობის არა მცოდნე პირები, უმეცარი ჯადობაზები და აბაშები, რომელნიც ხალხს დაუწყებნნ მოტყუილებით ექიმობას, მორჩენის მაგიერ ავანტყოფის დაღუპვას და სიკვდილს.

ამაში ჩვენც ვეთანხმებით პატივცემულ მსწავლულ მკურნალებს – და მათ მკაცრს საქციელს, რომ იგინი ასე მკაცრის კანონით იცავენ ევროპის ნათელ მედიცინის ღირსებას ეს საჭიროც არის ასე, ვინაიდგან მთელი თბილისი სავსეა მატყუარა ექიმბაშ, უმეცარ ჯადობაზებით, – მკითხავ-მარჩილებით, თათრის მოლებით, ახუნდებით და სხვაც ასეთ არა მცოდნე უმეცარ ტყუილ ექიმებით.

ასეთ ექიმნი დიდათ ვნებენ ხალხს, მრავლათ ხოცენ მათ, ამის ცნობები ხშირათ ადგილობრივ გაზეთებშიაც იბეჭდება და ყველა აღშფოთებულია ამაზედ, ყველანი ითხოვენ ერთხმით ასეთ არა მცოდნე ექიმთა ალაგმას და მოსპობას.

ასეთ უმეცარ ექიმებს ბევრი ავანტყოფი გაუგზავნიათ საიქიოს და ჯერეთ ესენი ბევრსაც გაგზავნიან შემდეგაც, ამიტომ ჩვენც ვეწინააღმდეგებით ასეთ ექიმებს და ვგმობათ მათ ბოროტ საექიმო ეშმაკობას და სივერაგეს, რომ პატივცემულ განსწავლულ ექიმნი რომ ამაში მართალნი ბრძანდებიან, ამას ფიცი და დამტკიცება არ უნდა ჩვენც ვეთანხმებით მათ.

ვიმეორებ და – კიდევ და კიდევ ამას საქვეყნოთაც ვაცხადებთ, რომ პატივცემულ ექიმთ, როგორც ევროპულათ განათლებულ კაცები, ასეთ ძიებაში მართალი ბრძანებიან, მათ წინააღმდეგ ლაპარაკი და ბრძოლა იქნება ერთის მხრივ უმართებულო საქციელი და მასთან უმეცრული უსამართლობაც.

ჩვენი ვალია, რომ ყველანი ასეთ გარემოებას უნდა ერთათ ვებრძოლოთ, მატყუარა ექიმბაშები უნდა ავლაგმოთ, რომ ასეთი დევნით მათი რიცხვიც შემცირდეს, ეს უნდა ხალხმაც გაიგოს და გაიცნას მათი მატყუარობა და საწყალი ხალხის წინაშე მტურულათ მოქმედობა, მე თვითონ ვარ ასეთი ექიმბაშების მდევნელი და მძრახველი, რადგანაც მათ ბევრი ავანტყუფი მოუწამლავთ, ამაში მათ კაი ფულებიც აუკრეფიათ, ამის სანაცვლოთ ავადმყოფი არ მოურჩენიათ და ბოლოს იგი მოუკლავთ კიდეც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი უმეცარ ექიმების მოსპობით ხალხში ბევრი რამ უბედურობაც მოისპობა, ბევრი ავანტყოფი გადარჩება ბოროტებას, ხალხის მოწამლავსა და მოსპობას.

იმედია, რომ ასეთი გონივრულის მოქმედებით, განათლებულ მკურნალთათვის, თვით საქართვველოს მთავრობაც ერთათ მიახწევს კარგს საწადელს და ხალხის მატყუარ ექიმბაშებსაც ალაგმავენ, განდევნიან.

II

მაგრამ ვიტყვით იმასაც, თუ ეს ასე არ არის, თუ ქართული

მკურნალობით და ქართული „კარაბადიმებით“ გამოცდილი ექიმი. თუ ის არ არის ისეთი უმეცარი და უვიცი, როგორც არიან უმეცარი ექიმბაშები, ჯადობაზები, მკითხავ-მარჩილები და ბევრიც კიდევ სხვა ასეთნი, მაშინ ასეთ მცოდნე ექემმა რა დააშავა, ვის რა წაუხდინა, სამართლიანი მთავრობის წინაშე არავის ათასფერი, ამი-

ტომ ამ გარემოების შესახებ დაფიქრება არის საჭირო, სიფრთხილე, პიროვნების არ დაჩაგვრა, რომ ასეთი სიფრთხილით სადმე ვინმე არ იქმნეს შეუსაბამოთ დასჯილ-დაჩაგრული, რადგანაც შეიძლება ასეთ ექიმებშიაც იყვნენ ზოგიერთი მცოდნე პირნიც, რომელთაც შეიძლება ექიმობაშიაც ამის კარგი ცოდნაც ჰქონდეთ, რასაც თავის შესაფერი ღირსება ექნება, შეიძლება მან ბევრი ისეთი საექიმო ცოდნა იცოდეს, რაც ჩვენს ევროპიულათ დაწინაურებულ მედიცინის მცოდნე პირებს არაფერი შეგნება ექმნებათ ამისი.

ამიტომ ასეთ პატივცემულ და ევროპიულათ განათლებულ ექიმებს მოვახსენებთ შემდეგ ცნობას, რაც არ უნდა იყოს შესაფერ _ ყურადღებას მოკლებული.

შეიძლება, რომ ქართულ ძველ „კარაბადიმებში“ ბევრი ისეთი მკურნალობა იყოს აღწერილი, რის ცოდნა ევროპის მედიცინას არა აქვს, ამიტომ ყველა მას შესწავლა უნდა, გაცნობა და არა დევნა და გმობა ძირიან ფესვიანათ, ეს აუცილებელია, ვინაიდგან ქართულ „კარაბადიმებს“ აქვს მეტად მდიდარი ისტორია, იგი წარმოადგენს არა მარტოთ ქართველ ერის განათლებულ მკურნალთა და დოსტაქართა ცოდნას, არამედ იგი არის ნათელი სახე და სალაროს კრებული, როგორც ქართველ მსწავლულ ექიმთა და მკურნალთა, ისევე ინდოელთა, ქალდეველთა, არაბთა, სპარსთა, ოსმალთა, სომეხთა და სხვათაც.

იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენი ისტორიული მოხსენება მათის განათლებულის გონების წინაშე საძრახელათ არ დარჩება, იგი არაფერს პოლემიკას არ გამოიწვევს.

არამედ ჩვენ მოხსენებას პატივის თვალით შეხვდნენ ასეთ მკურნალს ექიმებს დიპლომის უქონლობის გამო დევნას არ დაუწყებენ, არამეთ მათ დაიახლოვებენ, მათს მოქმედებას გაეცნობიან, თუ მათში რამე ღირსეულ ცოდნას დაინახავენ მით ისარგებლებენ და უფ-

რო დიდ საქმეს და სიკეთეს გამოაჩენენ ექიმობის სასარგებლოთ, ვიდრე უარის ყოფნის მიმართულებით დ სასტიკის ბრძოლვით, ამის მაგალითი გახლავს აი რა პირობებში:

თბილისში სცხოვრობს ერთი ასეთი ექიმი, სიმონ დავითასძე ცოტაძე, ეს ექიმი გამოკლებულია ზემოთ არა მცოდნე ექიმბაშებისგან, ამას მათი მგზავსების არაფერი აქვს, მართალია ამ ექიმს თავის ცოდნა ევროპიულს სასწავლებლებში არ მიუღია, არც რუსულ საექიმო სკოლაში უსწავლია, მიტომ მას ამის საექიმო ცოდნის დიპლომიც არ არ აქვს მიღებული.

-4-

ამის ნაცვლათ, ამ კაცს აქვს შესწავლილი ქართული-მკურნალობა, ქართული, „კარაბადიმებით“ მას ამ ქართული „კარაბადიმების“ შეკრებას, მათ ძიებას და გადაწერა – შესწავლაში ორმოცი წელიწადი მეტი გაუტარებია, ამ ხნის განმავლობაში, იგი ისე მომზადებულა ისე განსწავლულა ქართული „კარაბადიმებით“ რომ ბოლოს მას მკურნალობაც შესძლებია და დაუწყვია ექიმობა, ამის საფუძვლათ და ძალათ მას თვისი ცოდნის დიპლომიც იმავე ქართული „კარაბადიმებიდამ“ მიუღია, თვით განსწავლულა და საექიმო ცოდნაც შეუძენია.

ამ ლაპარაკს და სიმონ ცოტაძის ცოდნას, რომ აქვს თავისებური ღირსებას არ მოკლებული მნიშვნელობა, ამიტომ მოვსთვლით აქ იმასაც თუ ამ კაცს თავის ცოდნის საექიმო განვითარების დროს, ექიმობასთან ერთათ რა საგნები შეუსწავლია, რასაც არა აქვს არა მცირე მნიშვნელობა ქართულს საექიმო მეცნიერებაში.

სიმონ ცოტაძეს თავის მკურნალობის შესწავლის დროს, კარგა შეუსწავლია თვით წამლების შემზადების ოსტატობაც, თუ ამ წამლების შემზადებისათვის სად რა წამლების მასალა უნდა მოიპოვოს. როგორც ბალახები, ისე სხვა და სხვა ყვავილები და ნივთიერებანიც.

უნდა მოგახსენოთ, მოქალაქენო, რომ ეს გარემოება არის მეტათ დიდი განსაცვიფრებელიც, მან იცის იმ მცენარეთა და ბალახების ანუ წამლების მოსაძებნი ადგილებიც, თუ სად რომელ სოფლისაკენ მთას და ბარში წამლობისათვის საჭირო ბალახ-ბულახები დაყვავილები სად მოიპოებიან, აი, ამის მაგალითი: ამისთანა ძნელი საძებარი წამლის მოპოების საქმე, რითაც იგი არჩენს ბნედით ავანტ-

ყოფს, ამის წამლის მასალას იგი პოულობს გორის მაზრის, ერთ სოფლის მახლობლათ, ისიც მიწაში ჩაფლულს, თვალით დაუნახავს, როგორ მიაგნო მას, საიდგან იპოვნა იგი, მის არსებობას, უნდა ითქვასრომ არც ეს არის უბრალო რამე საქმე, ჩემგან თქვენ ამის მნიშვნელობის სწავლს არ მოგინდებათ, ვინაიდგან თქვენ ჩემზე კარგა მომზადებული ექიმები ბრძანდებით, იმედი მაქვს მე, რომ თქვენ ამ კაცის დაუცხრომელ შრომას სამართლიანის თვალით შეხედამთ, რის შრომას, დაფასებას არ დაუკარგავთ, მას სამაგიერო პატივის ცემას გადაუხდით მით უფრო, რომ მან შესძლო და ქართული მივიწყებული „კარაბადიმებიდგან“ ამდენი ღირსეული – ცოდნა ამოკრიფა, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება, რომ დღეს, ერთი გავრცელებული სატკივრის წამლის ბალახებს, იგი პოულობს ქალაქს ახლოს სოფელ შავნაბადასთან, ჩვენი საექიმო მთავრობა კი ამ წამლის მასალას იბარებს გერმანიდამ, ე. ი. მალარიის წამლის, სხვა წამლების

მოპოებისას მე არას ვამბობ, რაც ითქმის ერთსა და ორს წამლის მასალაზედ, იგივე ითქმის სხვა ბევრს ასეთებზედაც.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ კაცმა ძრიელ მრავლათ იცის და იცნობს კიდეც სხვა და სხვა სახელებს, ანუ ტერმინებს ქართულს ენაზედ, როგორც ბატანიკის, ისევე ანატომის, ფიზიალოგიის, ფსიხიოლოგიის, მინერალოგიის, აგრონომიის და სხვაც ბევრი ასეთების, მხოლოთ მათის სახელების მოხსენება იცის თავ-თავის დროს. როცა მისთვის არის საჭირო სადმე ავანტყოფის მკურნალობის დროს, ამის შესახებ მე აქ მოკლეთ ვლაბაკაკობ და იგი კი ქართული ტერმინების მხრით დიდის ღირსებით არის გარე მოცული, რაც აქ მე ასე მოკლეთ მოვსთვალე, არ იფიქროთ, რომ, იგი ერთს წელიწადს იყოს შესწავლილი, არა ამას ყველა ესენი შეუსწავლია ორმოცი წლის განმავლობაში, მათ შესწავლაზე ჰქონია დიდი ყურადღება მიპყრობილი.

საყურადღებოა კიდევ აი რითი: თვის მეცადინეობის დროს, ქართული „კარაბადიმების“ პოვნის, შოვნის, გადაწერის და შესწავლის დროსაც-იგი თურმე დიდ-ყურადღებას აქცევდა უფრო ისეთ სატკივრების მკურნალობას, რის შეგნება ევროპის მედიცნას არა აქვს და რუსეთის ექიმებს ხომ სულ არაფერი მოეპოვებათ ასეთების, ამის მაგალითები გახლავთ აი რა.

სიმონ ცოტაძემ კარგათ და ზედ მიწევნით შეიგნო ბნედის ავადმყოფობის მკურნალობის ოსტატობა და ამასთანავე მისი წამლის მომზადება.

მეორე: საყურადღებოა ამისი მკურნალობა ისეთ ჭკუათა შემცდარების, რომელთა მკურნალობაც ევროპის მკურნალთათვის მოურჩენელია.

ეს კაცი კი ასეთ ავანტყოფებს უტყუვრათ არჩენს და ბევრიც მოურჩენია, ასეთივე პირობები გახლავს მალარის სატკივრის საქმე, ეს კაცი ამისვე წამლებს აქვე საქართველოში პოულობს. რაც თითქმის ჩვენში არავინ არაფერი იცის.

მოგახსენებთ, რომ ამგვარი სატკივრების ცოდნა მას ისე აქვს გაკვეთილი, რომ მის დიპლომის მიუღებლობის შესახებ კამათი არის უმნიშვნელო საფუძველი, კმარა თვით ეს სამი სატკივრის სახელები, რომელიც ჩვენ აქ დავასახელეთ, **ბნედა, ჭკუაზედ** შემცდართა და **მალარიის** მკურნალობა.

III

ეს კაცი საყურადღებოა იმითიც, რომ რის ცოდნა მას არა აქვს, რასაც მისი გონება ვერ მისწვდება, რაც მას იგი არ შეუსწავლია, იმისთანა სატკივრებს არც ხელს ჰკიდებს და არა მკურნალო-

ბას, თუმცა მასთან ხშირათ მოდიან სხვა და სხვა ავანტყოფები. მაგრამ იგი ხელს არა ჰკიდებს და მათ ჰგზავნის სხვა და სხვა სპეციალისტ ექიმებთან, ამის ცხადი საბუთია ის გარემოებაც რომ ამდენი ხნის განმავლობაში არ მომხდარა ერთი მაგალითიც რომ სიმონ ცოტაძის მკურნალობით ვინმე ავანტყოფი გაფუჭებულიყოს.

ეს არც ჩვენს ევროპიულათ ნასწავლ ექიმებს უნდა ეწყინოთ, რომ სიმონ ცოტაძე არჩენს ასეთ ავანტყოფებს, რის მორჩენაც მათ არ შეუძლიანთ. ამიტომ იგინი რათ უნდა იქმნენ წინაღმდგენნი ამ ექიმისა, ან ამას რისთვის უნდა უკრძალავდნენ თვის ექიმობას, როცა იგი თავის ცოდნით ავანტყოფებს არჩენს, რაც არის მართალი და სასარგებლო, ამის შემდეგ აქ რა საქმე აქვს ამის უდიპლომობას, ან იმის არ ქონვა რა შუაში გახლავსთ და ან ამისთვის რა უნდა

იყოს ამ დიპლომის ქონვა და ან არა ქონვა.

ქართული მკურნალობის და „კარაბადიმების“ ღირსების დაფასების საფუძველით ეხლა მე უნდა ვილაპარაკო აქ ჩვენი საზოგადო ისტორიის მიმოხილვით. ამით უნდა ვაუწყო ჩვენ ნასწვლს-ექიმებს, რომ ქართულს მკურნალობას და „კარაბადიმებს“ აქვს დიდი საექიმო მნიშვნელობა, მათ შესახებ გულგრილათ ლაპარაკი არ იქნება კარგი, მისი გაცნობა კი ჩვენთვის საჭიროებას შეადგენს, იმედი გვაქვს რომ ჩვენ ნასწავლ მკურნალთა აზრები შეიცვლება, საქმე აი რა ისტორიის პირობებშია მოთავსებული, ქართული მკურნალობის დიდი ღირსების. შესახებ, 1923 წელს, პატივცემულმა და მსწავლულმა ივანე ჯავახიშვილმაც წაიკითხა ლექცია და იქ დამსწრეთ აუხსნა და გააცნო ქართული მკურნალობის დიადი ღისება.

პატივცემულმა მეცნიერმა მთელ საზოგადოებას მოუწოდა, ისე, უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტობასაც. მათ მკაფიოდ და მიუდგომლათ აუწყა ქართული მკურნალობის მდიდარი წარსულის ისტორია, სტუდენტობას დაავალა, რომ მათ უსათუოთ ქართულ „კაბადიმებს“ ყურადღება მიაქციონ და მუყაითათ შეისწავლონ, რაც ღირსია მისი შესწავლის და დიდ ყურადღების.

ამის საფუძვლათ პატივცემულმა მსწავლულმა დაასახელა მხოლოთ ერთი „კარაბადიმი“ სხვა წიგნები არ ახსენა მან, რომ მით ლექცია არ გაზვიადებულიყოს, მისგან დასახელებული „კარაბადიმი“ გახლავსთ თარგმანი სპარსულიდამ ქართულს ენაზედ, თარგმნილი, ვინმეც ხოჯა ყოფილისაგან, მე XII საუკუნეში, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წიგნი არის ქართული მკურნალობის ტრაქტატი, რაც ერთობ იშვიათი არის. ვიტყოვით იმასაც რომ ამ „კარაბადიმზედ“ ნაკლები ღისებისა არ არის ჯანაოზ ექიმის კარაბადინი მე VIII საუკუნეში ნათარ.

ამ „კარაბადიმს“ გარდა შესანიშნავია კიდევ XIV საუკ. ნათარგმნი სპარსულიდამ შარიე ზადეს „კარაბადიმი“ სახელდობრ „მუნთა ნაფი შეა“ ესეც დიდებული განძია“, სხვა „კარაბადიმებს“ ჩვენ არ ვახსენებთ, თუმცა სხვებიც ბევრია ქართველს ენაზედ ნაწერი ძველი წიგნები.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ქართველ ერს აქვს მდიდარი ისტორიული წარსული, ქართველი ერის კულტურული ცხოვრების და ღირსების ცნობები უკვე დასაბუთებულია და დამტკიცებული.

ამის მეთაურები ბრძანდებიან მთელი ევროპის ნასწავლნი-მეისტორიანი, რომელნიც აღმოსავლეთის ერთი ისტორიაში კარგათ არიან დახელოვნებულნი, ამათ მოზდევენ რუსთა მცოდნე ბარონ როზენი და უსლარი, ამათ კარგათ და ზედ მიწევნით აქვთ შესწავლილი საქართველოს და კოლხების წარსული ძველი ცხოვრების პირობები, მოვიყვან უსლარის შეხედულებას ქართველის ერი განვლილი უძველეს კულტურულ ცხოვრებას და შემძლებლობაზედ, აქ, ჩვენი მარტოთ სიტყვები იქნება და ცნობები კი მათი სიტყვით: – ქართველი ერი, ანუ კოლხები არის უძველეს დროს კულტურული ერი, უძველეს დროსვე დაწინაურებულა კულტურულათ და ამაღლებულის. იგი ყველაფრის საჭირო, ცოდნის შემძლებლობით.

უძველეს დროის ქართველი ერი, ანუ კოლხები, ისე ყოფილან დაწინაურებული და ამაღლებული კულტურულათ, რომ ესენი თურმე თავიანთ კულტურით – ბევრათ წინ იყვნენ ბიზანტია და რომაელებზედაც, ქართველნი თუ რამოდენად იყვნენ თავის კულტურულათ წინ-წასულნი, ამას ასაბუთებს აი რა პირობებიჯ, თვით ბიზანტიელთ და რომაელთაც ქართველთაგან მიუღიათ თვისი კულტურული ცხოვრების დასაწყისი, ქართველებისაგან შეუსწავლიათ მათ ზღვაზედ მოგზაურობა, ნავებისა და ხომალდების კეთება. კარგათ ბადეების ქსოვა, თევზის დაჭერვა, ზღვაზედ მოგზაურობის დროს ტაროსის ცნობა და ბევრნი სხვა ასეთნი.

გარდა ამის, თვით ბიზანტიელნი უძველეს დროიდამ საქართველოს და ქართველებს უწოდებდნენ სახელათ „გიორგიას“ რას ნიშნავს ეს სახელი ქართულათ, ყველამ უწყის, რომ ეს _ არის ქართულათ „მიწის მუშაკი“ ეს სწორეთ არის ნათქვამი, რადგანაც ქართველი ერი ძველადგანვე მძლავრად მიზდევდა მიწის-მუშაკობას, მაგალითებრ ხვნას, თესვას, პურის მოყვანას _ მევენახობას, სულადის საქონლის მოშენებას და ნამეტურ მათ გამრავლებას, ამიტომაც ქართველი ერის ოჯახი სავსე იყო პურით და სხვა საჭირო სურსათით. ესეთი პირობები ქართველი ერისა კარგათ იცოდნენ მთელს აღმოსავლეთის ტომებში.

-8-

ამბების გარდა, ამ ქართველ მიწის მუშებმა „გიორგიანებმა“ კარგათ იცოდნენ კლდების ქცევა, და მტვრევა, გზების გაყვანა, ქვე-

ბით მოფენა, ბოგირების კეთება, ხიდების, სოფლის კოშკების, გალავნების, ციხეების და სხვაც ბევრი ასეთები, შემდეგ დროს, ანუ ქრისტიანობის ხანაში, ამ ქვის ხელოსნობას დაერთვა ქრისტიანული ეკლესიების კეთების ოსტატობა და სხვაც ბევრნი ასეთნი.

რის ცოდნა შეგნებაც მართლაცა და ქრისტიანობაში დიდად გაპრწყინდა და წავიდა წინ, ამ ხელოსნობამ მთელი საქართველო მორთო თავის ოსტატური ცოდნის სამუშაკო საქების ნაშთებით.

ამ ქვის ტეხას, მტვრევას, ქვების ნაშთებით ეკლესიების და _ მონასტრების კეთებას თან მოჰყვა ქართველთაგან ქვის ჩუქურთმის ოსტატობის განვითარება, ქვის ქანდაკები და შემდეგ ანუ მეთერთმეტე საუკუნის ნახევრიდამ ქართული მოზაიკაც, ქართული ჩუქურთმის, ქანდაკების და მოზაიკის აღორძინების შესახებ მე თამამათ შემიძლიან ვილაპარაკო, ქართველი ერის კულტურულათ ამაღლებული ცხოვრების შესახებ.

ჩვენ თუ ვართ კულტუროსანი ხალხი, მაშინ ამას არც უნდი ლაპარაკი, რადგანაც რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ იგი სულ ჩვენი წინაპრებისაგან არის აშენებული და გამშვენებული, ასეთი ცნობების მოყვანით ჩვენ უფრო შორს წავალთ.

კავკასის თემზედ ქართველ ერს ძველათგანვე ეკავა ერთობ დიდი მანძილი, აღმოსავლეთ საქართველოს მიჯნა თავრიზთან იყო, დასავლეთ სამხრეთ მხრით აზრუმთან, აღმოსავლეთ ჩრდილო იყო კასპის ზღვა და ადრაბადგანი, დასავლეთის ჩრდილო იყო კავკავის მთები და ოსეთი, ამ სივრცეზედ სცხოვრობდა ოცდა რვა მილიონი ხალხი, მაშინ ქართლი იყო 2880 სოფელი, აქ სცხოვრობდა ექვსი მილიონი ხალხი, სამცხე საათაბაქოში იყო 2600 სოფელი, აქა სცხოვრობდა ექვსი მილიონი ხალხი, კახეთში 1800 სოფელი იქ ყოფილა ოთხი მილიონი ხალხი, იმერეთი იყო 3600 სოფელი იქ სცხოვრობდა 12 მილიონი ხალხი, სულ ერთათ _ 28 მილიონი ხალხი. ამის შესახებ ჩვენ ცალკე ვრცელი სტატისტიკური გამოკვლევ გვაქვს.

ქართველ ერის რიცხვი სჩანს უძველეს დროიდამ, საქართველოს სამეფოს ყოველთვის გამოჰყვანდა ოთხი მილიონი _ ჯარის კაცი ანუ მხედარი.

მეხუთე საუკუნის ნახევარს, როცა ვახტანგ მეფე გამეფდა _ მაშინ მას ჰყვანდა ქართველი ჯარი, რომელთ რიცხვიც შესდგებოდა ოთხი მილიონი ჯარის კაცისაგან.

მაშ როგორ იქნებოდა, განა ვახტანგი გაბედავდა ადვილათ, ინ-
დოეთში წასვლას, ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ მან გაბედა ინდოეთში
წასვლა, რადგან მის ჯარის რიცხვი იყო ოთხი მილიონი. საქართველო-
დამ ინდოეთში მცირე ჯარით ვერ წავიდოდნენ, მერმე იქიდამაც ხელ
ცარიელი ხომ არ დაბრუნდებოდა, მაშინ შემოიტანა მან ინდოეთიდამ
საქართველოში აბრეშუმის ჭიის თესლი და სხვა ბევრი ასეთნი.

მეხუთე საუკუნიდამ მოყოლებულია VI და VII საუკუნეშიდაც
ასე სჩანს ქართველთ სამხედრო ძალა, ქართველებმა VI საუკუნიდამ
შეისწავლეს ქალდეურის ენა, ინდოურის, ებრაულის, არაბულის და
სხვა ენებისაც VIII საუკ. ქართულ ენაზედ სთარგმნიან ჯანაოზ ექი-
მის „კარაბადიმსა“ მთარგმნელის ვინაობა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ
უნდა ვიფიქროთ, რომ მთარგმნელი იქნებოდა დიდათ განათლებული
კაცი, უამისობა არ შეიძლებოდა, მას უნდა სცოდნოდა ჯერ ბიზან-
ტიური ენა. და მერე არაბული, ცხადი საქმეა მაშინდელ დროში ასე,
ამ ძველი ენების მცოდნე პირი არ იქნებოდა უბრალო ვინმე, გარდა
ამისა ამას მოითხოვდა თვით საექიმო წიგნის თარგმნის ღირსებაც,
თუ არ კარგათ მცოდნე მკურნალობის, უამისოთ ვერ გაბედავდა მის
თარგმნას.

ასე და ამ გვარათ, საქართველოს სახელმწიფო ისე დაწინა-
ურდა მაშინ, რომ ნელ-ნელა XI საუკუნოში, მანიმ იმ სიმაღლემდინ
მიაღწია, რომ საქართველოს მეფე ბაგრატ IV ბიზანტის მწერლებმა
კეისართა _ კეისარი უწოდეს, ესე იგი იმპერატორი. ამ მეფემ ცოლათ
შეირთა ბიზანტის იმპერატორის, რამანოზის და ელენე, მაშ როგორ
იქნებოდა ეს, რომ ბაგრატ IV არ ყოფილიყო ძრიელი კეისარი, უა-
მისოთ მას ვინ მისცემდა ბიზანტიის იმპერატორის დას ცოლათ, არა-
ვინ, რომ ჩვენი ლაპარაკი მართალია და რაც ძველის ძველათ ქარ-
თველი ერი ამაღლებული და დაწინაურებული იყო, როგორც ხალ-
ხით, ისევე სამეფოს წყობილებით და თვით სამეფოს ვერცხლის ფუ-
ლებითაც, ამას ცხადათ აჩენს ბარათაშვილისაგან რუსულათ დაბეჭ-
დილი 1840 წელში პეტერბურგს, სახელდობრ „ნუმიზიტიკური ფაქ-
ტები ქართული ფულების“.

ეს წიგნი თავის ფაქტებით ისეთი განძია ქართველი ერის წარ-
სულის ამაღლებულის ცხოვრების, რასაც მოწმობს ის გარემოებაც,
რომ ამ რუსული წიგნიდამ დიდათ ისარგებლა საფრანგეთის უსწავ-

ლულ ლანგლომ და 1870 წ. პარიზში ეს წიგნი ფრანგულათაც დაბეჭდა, სადაც ქართველი ერი ლანგლომ მოიხსენა დიდის კულ-ტურის წარსულის. ქრისტეს წინა დროის, ქართულის ვერცხლის ფუ-ლის გამო, მსწავლულმა ლანგლომ ქართველი ერი თავის კულტუ-

რით რომს და ბიზანტიას შეადარა და აღმოსავლეთის ხალხებში ქარ-თველი ერი ასურისტანის და ქალდეველთა შესადარებელ ხალხით ახსენა.

იმ დროს მოირთო, საქართველოს ერში ბევრი რამ და ყველა ზედ უკეთესად ეკლესიათა და მაშენებლობათ და მისი შემკობილობა: ჩუქურთმა, ქანდაკება ხელოვნურის მუშაკობით ყველა დარგში, მაშინ იქმნა ქართული მოზაიკის შემოღება, იმავე დროს შემოღებულ იქმნა ეკლესიებში ფერადის წამლებით ხატების ხატვა, რაც საყურადღებოა ჩვენს – ისტორიაში, ამათი ნიშნები დღემდინ დარჩენილა საქართვე-ლოს ძველი საეკლესიო ნაშთები.

არ შეიძლება, არ ავნუსხოთ ისიც რომ XI საუკუნეში, ისე ამაღლდა საქართველო და ისე დაწინაურდა სწავლა-განათლებით, რომ იმ დროს ქართველ მსწავლულთაგან შემოღებული და გავრცე-ლებულ იქმნა ქართული საგალობელი ნოტებიც, ამ ნოტების დამწერი სხვათა შორის, სჩანს ვინმე მსწავლული მიმეილ მოდრეკილი XI საუ-კუნეში, იმავე დროს გაშენდა საქართველოს ერში მრავლათ სახე-ლოსნო მუშაკობა, მაშინ იწყეს მურღულის ხევში და გააკეთეს სხვა და სხვა მადნები, თითბრის მადანი, სპილენძის მადანი, ტყვიისა, რკინისა, თუთიისა-ცინკის და სხვაც ბევრი ასეთები.

დიდათ საყურადღებოა კიდევ ნამეტურ კარგის შენობების კე-თება-ქარვასლების, ხიდების, ციხე-კოშკები და დიდი ეკლესიები, რო-გორც ხახული, იშხანი, და სხვებიც, რაც ამშვენებს თვით რომის ისტორიასაც.

იმავე საუკუნეში საქართველო ამაღლდა ბევრნაირად, არ-ჩამო-რჩა ქართველი ერი ვაჭრობაშიაც.

იმავე საუკუნების მოჰყვა აბრაშუმის აღებ-მიცემა აბრეშუმის ძაფი იმდენი ჰქონდათ რომ ქართველნი ვაჭრობდნენ ბიზანტიას და-სხვა ქვეყნებშიც, იმავე საუკუნოში მოჰყვა საქართველოში დიდრონი სკოლების კეთება რისაგანაც დღესაც კი ჰკვირდება მათი მნახველი,

სკოლები აქვნდათ ყველა ხარისხისა, დაბალი, საშვალო და მაღალი, რომელიც უდრიდა აწინდელ აკადემიების და უნივერსიტეტების, ამის მაგალითები ბევრია, საქართველოში, იმის ნიშნები გახლავს ხახულის შკოლა, ტბეთის, იყალთოსი და ბევრიც სხვანი, ენით უთვლელნი.

ქართველ ერში გაბრწყინდა სწავლა იმ დროის ყველა მეცნიერების და ფილოსოფიისა, გავრცელდა ენების ცოდნის მიმდევრობა.

ზედ მიწევნით სწაულობდნენ მატემატიკურ საპასექორ ცხრილს, დროთა აღრიცხვას და მის ამინდებს, მთვარის გავლენით, ნამეტურ

ტაროსის ცნობა, ვარსკვლავი მრიცხველობის და მის ობსერვატერიების მნიშვნელობას, რომელიც თურმე ქებულ იყო მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამის შესახებ შლოსერიც სწერდა თავის „მსოფლიო ისტორიის“ მეხუთე ტომით, რომ მთელს აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყველაზედ განთქრალი ობსერვატორია თფილისში არისო ეს ცნობა როცა ისტორიკოს სულხან ბარათაშვილმა ამოიკითხა, მის სიხარულს თურმე საღვარი აღარ ჰქონდა.

ჩვენი ტომის შესახებ უცხოთა ტომთა მწერლების ისტორიის ნაწერებში, ბევრი რამ არის თქმული და ნაწერები, მაგრამ სამწუხაროთ, იგი ჩვენთვის სულ მკვდარია და ჩვენ მისი არაფერი ვიცით. ყველასფერი ჩვენთვის დაკარფულია და მიუწდომელი.

აი ამის ერთი მაგალითი, პატივცემული მოსწავლული ივანე ჯავახიშვილმა თავის საფუძვლიანი გამოკვლევა-საქართველო-ისტორიაში, რაც ჩვენის ყურებისათვის უნდა იყოს უცხო და ხამი, პატივცემულ პროფესორს ასეთი ცნობებიც მოჰყავს, სხვათა შორის, ქართველებში XII საუკუნეში, გამრავლებული ყოფილა საქართველოში, ყველა ქართველი თურმე კარგათ იცნობდა ცვეტნოი კაპუსტას, ევროპაში კი ეს ცვეტნოთ კაპუსტა ამერიკის პოვნის შემდეგ შემოსულა. ეს გარემოება გვაძლევს საბუთს, რომ თამამათ ვილაპარაკოთ ჩვენი ცხოვრების ძველს კულტურ ამაღლებულს მნიშვნელობაზედ. დღეს კი ჩვენ ცვეტნოი კომბოსტოს სახელიც არ ვიცით. ვიცით კომბოსტო და სხვმ კი არაფერი.

XII საუკუნეში, საქმე ისე მოეწყო, რომ მთელ საქართველოში

აღარ დარჩა დიდი მთები და ველები, რო იქ არ ყოფილიყოს გაყვა-
ნილი, დიდი არხები, ამის მაგალითია ყარაის არხი, ურბნისის არხი,
არაგვიდამ ჰავლაბარში გამოყვანილი და მთელს ივრის ხეობაზედ გაყ-
ვანილი არაგვი, იორის ტოტის გაყვანა, ქსნის ტოტის გაყვანა, ლია-
ხვის და სხვაც ბევრი ასეთების, რომლითაც მორთული იყო მთელი
საქართველოი.

აქ ამის მგზავ ცნობებით თავს არავის შევუწუხებთ, ჩვენთვის
ესეც კმარა, რომ ვიცოდეთ ჩვენი წარსულის დიადი მნიშვნელობა
ერთ გარემოებას კი მივაქცევთ ყურადღებას, ესგ ახლავს, დავით აღ-
მაშენებელისაგან საქართველოს სოფლებში: საექიმო ქსენონების დახ-
სნას, ეს ამით საყურადღებოა და პატივსაცემი ქართველი ერის ცხო-
ვრებაში, რომელ ანბავიც „ქართლის ცხოვრებაში“ დიდის პატივის
ცემით არის მოხსენებული, ეს გარემოება გვაძლევს საბუთს, რომ ვი-

ფიქროთ თუ ქართველი ერი რამოდენათ იყო დაწინაურებული კულ-
ტურულათ და მასთან ქართულ მკურნალობის ცოდნაში.

ეხლა აქა ვსომ კითხვას, თუ რას ბრძანებს გონიერი მკითხვე-
ლი? ნუ თუ ასე მოწყობილ და მომზადებულ ერს კი თავისი სახელ-
მწიფოში არ ექმნებოდა სწავლა ცოდნის სამზადისი, ნუ თუ ქართვე-
ლი ერი ასეთი რიცხვის ძლიერებისა და ცოდნის. რომ მათ თავიანთ
თავისათვის ექიმობაში არაფერი ცოდნა ჰქონოდათ, ეს შეუძლებელი
იყო, ამიტომ ისე გამრავლებულ და კულტურულათ აღორძინებულნი
ერნი სხვერპლნი-ყოფილიყვნენ უმეცარი ექიმბაშების, ჯადობაზების
და ასეთი მკითხავ. მარჩიელების, რომლითაც ეხლა არის სავსე ჩვენი
ქვეყანა.

მოგახსენებთ, რომ არა და არა, ეს ასე არ გახლავს, საქართვე-
ლოს ერს თავის დროისა და შეძლების გვარათ, როგორც სხვა და-
რგებზედ, ისევე ექიმობაზედ, დოსტაქრობაზედ, მკურნალობაზე და
წამლების კეთების ცოდნაზე შესაფერი მომზადება ჰქონიათ, იმიტო-
მაც იყო რომ ქართველებმა თვით უძველეს დროიდგან დაიწყეს
ვრცელო საექიმო წიგნების წერა და ქართულ ენაზედ თარგმნა მათი.

ადგენდნენ და სთარგმნიდენ სხვადა სხვა ენებიდამ უზარმაზარ
ტომებს და მით აფუძნებდნენ ქართველ ერში „კარაბადიმების“ რიცხვს-
და მთელ საქართველოში მის სწავლას.

ქართული მკურნალობის ისტორია ასეთი მდიდარია და შუქია ნი ვარსკვლავი გახლავს, მას აქვს მეტად დიდი ისტორია, ჩვენ „ქა-რთლის ცხოვრებაშაც“ ბევრ სალაგას არის ასეთი სიტყვები მოყ-ვანილი.

„მეფე გახდა ავათ, შეიყარნენ ექიმმა და დოსტაქარნი, წამალთა ჭურჭელთანი სულ წამოცარიელდნენო“ არის კიდევ ნათქვამია „ჭურ-ჭელნი წამალთანი სულ წამოცარიელდნენ „ამ სიტყვებიდამ სჩანს კა-რგათ, თუ ქართველ ერს თვით წამლების კეთება, წამალხანების მნი-შვნელობაც თუ პროვიზორობაც როგორ კარგათ სცოდნიათ ქართ-ველებს.

უნდა ითქვას, რომ რაკი საქართველოში ასე იყო მკურნალობა დაწინაურებული და მას ჰყვანდა თავისი დამამშვენებელი-ექიმნი, დოსტაქარი და მკურნალი, თუ კი მათ აქვნდათ თავიანთი საექიმო სკოლებიც, სკოლებში ჰყვანდათ მოწაფეებიც, რომელნიც სწავლობდენ ქართულ მკურნალობას და ბოლოს ასეთის სწავლით გამოდიოდნენ ექიმობის ასპარესზედ, ამიტომაც დაურღვევლათ ითქმის რომ ქარ-თულ სამკურნალო სკოლების უმთავრეს საუნჯეთ უნდა ჩაითვალოს ქართული „კარაბადიმები“.

-13-

სწორეთ ეს გახლავს და ამის ნაყოფი, რომ სიმონ ცოტაძემ აქედამ და ამ სკოლის „კარაბადიმებიდამ“ მიიღო თვისი ცოდნა, აქ, არავინ იფიქროს, რომ აქ მოთვლილ სიმონ ცოტაძის მკურნალო-ბის ოსტატობა მოგონილი, ან გაზვიადებული ქება იყოს, არა-ასე არ არის, ამ კაცს რათ უნდა ქება. დიდება, როცა მის ცოდნასა და შეგნებას საექიმო ასპარეზედ თვით მისივე საქმენი ამართლებენ, ამიტომ ჩვენი ვალდებულება გახლავს, რომ სიმონ ცოტაძის შრომას პატივის თვალით შევხედოთ, მისგან ცნობილ უნდა იქმნეს, თუნდ ბნედის მკურნალობის სამახსოვროთ, რამე კეთილის მოგონებით ავ-ნუსხოთ, ეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის, ვინაიდგან მარტოდ ამ ბნედის მკურნალობა წარმოადგენს ერთს დიდს საუნ-ჯეს, არა მარტო სიმონ ცოტაძის შრომის დასაფასებლათ, არამედ თვით ქართული ძველი სამკურნალო „კარაბადიმების“ პატივის სა-ცემათ, რომ ქართულს „კარაბადიმებში“ მოიპოვება ისეთი ძვირფასი მკურნალობის ცოდნა და მისი წამლების კეთების ოსტატობა, ეს გა-

რემოება ქართული მკურნალობის პატარა ღირსება არ გახლავს.

ამის საბუთს ჩვენ გვაძლევს სიმონ ცოტაძის ის დაუფასებელი შრომაც, რაც კი ამ 40 წლის განმავლობაში უშრომია, ძველის ძველი „კარაბადიმები“ უგროვებია და მის მერმე ყველა იგი თავისთვის უწერია და მით უმრავლებია ეს ძველი იშვიათი საუნჯე „კარაბადიმები“

ასეთი შრომით სიმონ ცოტაძე დაღალული გახლავს, მის დაღალვა პატივსაცემია მით უფრო, რადგანაც მას თავის მუყაითობით ბევრი ძველი „კარაბადიმები“ უშოვნია, მეტად ძველი, დიდათ იშვიათ საპოვნელ, დიდის შრომით ადვილათ საპოვნელი და სანახავი გამხდარა, ვინაიდან ყველა იგინი მას გადმოუწერია.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრით იმითიც რომ ამათი პოვნით დ გაცნობით თვით ჩვენი, „კარაბადიმების“ ღირსება ამაღლებულა და მასთან ჩვენი წარსულის დიდი ღირსებაც ჩვენთვისა გასაცნობი ადვილი გამხდარა, ეს გარემოება ჩვენთვის ცხადია და ნამდვილი, ჭეშმარიტი საბუთით ჩვენის დიდის კულტურულის წარსულისა.

ასე და ამ გვარათ, სიმონ ცოტაძეს თავის ექვს ტომიან „კარაბადომების“ ტომებში, რომელნიც მას გადაუწერია ახლად და აღუდგენია მათი არსებობა, მათში დაცული გახლავს ქართველი ერის დიდი კულტურული საექიმო ცოდნის დიადი არსებობა, განვლილ დროში, რაც მართლაც დიდი საპატიო საქმე გახლავს ჩვენს დროში, იგი დიდი სარკეა ჩვენის წინაპრების ღირსების და ნამეტურ იმ პირო-

ბების თუ ჩვენი წინაპრების მკურნალნი როგორის მაღალის საექიმოს ცოდნით იყვნენ დაჯილდოვებულნი და ამაღლებულნი.

დღეს ქართველი ერის წინაშე, სიმონ ცოტაძისაგან გადაშლილია და მოფენილი მის მიერ გადაწერილი ძველი „კარაბადიმები“ ეს საუნჯე ჩვენს კოსმოპოლიტურს ხანაში, ჩვენი არა აობისა და უარყოფის დროს, იგი ისეთი დაუფასებელი განძია ჩვენთვის, რომ მაზედ ხმის ამოუღებლობა იქნება ერთის მხრივ მიუტოვებელი ცოდვა.

სიმონ ცოტაძის სამკურნალო „კარაბადიმები“ გადაწერილია და აღდგენილი გახლავსთ, იგი ჩვენ თვალ წინ გვიშლის და გვაძლევს ჩვენის ძველის საექიმო დიდ ღირსებას და ცოდნას ჩვენის წარსუ-

ლის უაღრეს კულტურულ ძალას, ამიტომ ჩვენი ზნეობრივი ვალია, რომ ასეთი კაცის შრომას ყურადღება მივაქციოთ, მისი 40 წლის შრომა და ამაგი პატივსაცემი დაფასებით უნდა შევმოსოთ.

რადგანაც მის შრომით და შუამდგომლობით ჩვენ თვალ წინ გადაშლილია მთელი ჩვენის წარსულის სამკურნალო კულტურული ღირსება და მისი ძალა, დღეს ამის შრომით ჩვენ კარგათ ვიცით და _ ვიცნობთ ჩვენის მკურნალობის დიადის ღირსებას, ამ კაცის შრომას ძალით ჩვენ ვაფასებთ ჩვენი წინაპრების ცოდნას, ამიტომ ვალდებულნი ვართ, რომ სიმონ ცოტაძესაც მადლობა ვუთხრათ მისი ამდენი ხნის შრომა რამე სიკეთით დავაფასოთ.

ესევე საპატიო „კარაბადიმებით“ ჩვენ საფუძველს გვაძლევს, რომ მაღალის კილოთი ვიძიოთ ჩვენი ქართული მეცნიერულ მკურნალობის ძიება და ვითხოვოთ, რომ საქართველოს უნივერსიტეტში საექიმო დარგზე უსათუოთ დასმული უნდა იქმნეს ქართული „კარაბადიმებს“ შესწავლის საქმე, ამისთვის სხვა რო არ იყოს რა, ჩვენ მარტო სამი სენის მკურნალობას დავასახელებთ, რომელნიც ქართული „კარაბადიმების“ მკურნალობით განიკურნებიან, ეს სამი სატკივარი აი რა გახლავსთ.

1) ბნედით ავანტყოფობა და მისი მკურნალობა, რის წამლებიც აქვე საქართეელოში მოიპოვება და არა სპარსეთში.

2) მალარიის ავანტყოფობა, რომლის წამლებიც აქვე საქართველოში მოიპოვება.

3) სულით ავანტყოფთა, რომლის წამლები აქვე საქართველოში მოიპოება, სხვა სატკივრებს ჩვენ აღარ ვახსენებთ, თუმცა ქართულ „კარაბადიმებში“ სხვა სატკივრების მკურნალობაც აღმოჩნდედა, ეს იქნება თვით მათ შესწავლის სათანადო პატივისცემა და მოპყრობა.

იგი რომ ღირსია პატივის ცემის და შესწავლის, ამას _ ცხადათ სიმონ ცოტაძისაგან გადაწერილი, კარგათ დალაგებული და ლამაზათ მოწყობილი და დაცული „კარაბადინები“ გვიკარნახებენ უამისობა კი დიდი ცოდვა იქნება და სირცხვილი ქართველი ერისა და ინტილიგენცისათვის.

შეიძლება, ქართულ ძველ „კარაბადიმებში“ ბევრი ისეთი მკუ-

რნალობა იყოს აღწერილი, რის ცოდნა ევროპიულ და რუსულ მე-
დიცინას არ აქვნდეს, ამიტომაც ქართული „კარაბადიმების“ შეს-
წავლა, გაცნობა უნდა იქმნეს უსათუოთ და არა დევნა და გმობა
მისი ძირიან ფესვიანათ, რადგანაც ქართულ მკურნალობას აქვს მე-
ტად მდიდარი ისტორია, იგი წარმოადგენს არამც თუ მარტოთ ქარ-
თულ მკულნალთა და დოსტაქართა ცოდნას, არამედ იგი არის სრუ-
ლი სახე და სალარო მთელის აღმოსავლეთის ერთა მკურნალობის
ისტორის, იგი არის კრებული ინდოეთის მკურნალობის, ქალდეველ-
თა, არაბთა, სპარსთა, ოსმანთა, სომეხთა და ბევრი სხვებს.

ეხლა, როდესაც დაარსდა საქართველოს ერის კომუნარული
მთავრობა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დაიცავს საქართველოს
ისტორის სამართლიანობას და ამ ისტორიულს დაჩაგვრას არ მის-
ცემს ნებას, რომ იგი არსებობდეს იმ წესებით, როგორც იგი დამ-
ყარებულ იქმნა რუსეთის მონარქიის წესწყობილების დროს.

თუ ქართული სამკურნალოს „კარაბადიმში, ისეთი მკურნალო-
ბას, რასაც მონარქიულის მედიცინისათვის უცხო და ხამი იყო, მაშინ
რა დააშავა ქართულ მკურნალობის სიკეთემ, იგი რათ უნდა იქმნეს
გმობილი და არ შეუწყნარებული მხოლოთ მიტომ, რომ ქართულ
„კარაბადიმებით“ განსწავლილ ექიმებს არა აქვსთ მონარქიული მთავ-
რობის დროის დიპლომი, ამის ძიებით ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ,
ეხლა მოვიყვანთ აქ ცოცხალ მაგალითებს, რაც გამოაჩენს ცხადათ
ქართული მკურნალობის სიკეთეს. და მნიშვნელობას.

ჩვენს „ქართ. ჩეკაში“ ავათ იყო სამი მოხელე, ესენი იყვნენ
ავათ მალარიით, იგინი რუს. მონარქის დროის დიპლომიან ექიმებ-
მა ვერ მოარჩინეს, დასნეულდნენ, ამიტომაც სამსახური დაკარგეს და
ავათმყოფები და დაავადებულნი მშიერნი იხოცებოდნენ, ამათ შე-
იტყეს ქართული მკურნალობის ცნობები და მიმართეს ქართულათ,
განსწავლულს სიმონ ცოტაძეს და სთხოვეს ამის მკურნალობა, მკურ-
ნალმა ავანტყოფებს აუწყა, რო მე თქვენ მოგარჩენთ, მაგრა რაკი
მე საექიმო დიპლომი არა მაქვს, შიშით ვერ გავბედავ ხელს მოკი-
დებასაო, ავანტყოფ რუსებმა მოისმინეს, უთხრეს: ჩვენ დიპლომს
რა თავში ვიხლით, ჩვენ მორჩენა გვინდა და არა დიპლომი, მაგ-

დიპლომიანებმა ჩვენ ლოგინში ჩაგვაწვინეს, ჩვენთვის მაგის ხსე-

ნებას არაფერი მნიშვლელობა არა აქვს, ძალა დაატანეს, მკურნალ-
მაც მოჰკიდა ხელი და მოარჩინა კიდეც.

ახლა საკითხავია ისიც თუ ამა ავანტყოფებს რა უნდა ექნათ, უნდა დახოცილიყვნენ უწამლოთა, რათა მიტომ, რომ რაკი მათ მომრ-ჩენ ექიმს, დიპლომის არ აქვნდა, წამალი არ უნდა მიეღოთ მისგან? ექიმის დიპლომი არ ქონვას ამათ არ მიაქციეს ყურადღება, მისგან წამალი მიიღეს და მორჩნენ კიდეც, დავასახელებთ 1. პოგორელოვი 2. „შაშურკინი და 3. ნაზაროვი, ეს კაცები დღესაც „ქართ. ჩეკაში“ მსახურებენ, რომელნიც ცხადათ დასაბუთებენ ამას. ეხლა აქ სათხო-ვარი და საჭიროა რომ ამ ქართული დიპლომით განსწავლულ კაცს მიეცეს, ნებართვა რომ მას თავისუფლათ შეეძლოს მკურნალობა.

დროა, დრო პატივცემულნო მოქალაქენო. რომ ჩვენი წინაპრების საექიმო მეცნიერობა არ დავკარგოთ, ვისარგებლოთ და გამოვიყენოთ იგი რის მცოდნეც არის სიმონ ცოტაძე, ეს ერთათ ერთი კაცია სა-ქართველოში დარჩომილი რომელმაც იცის ქართული მკურნალობა, ამიტომ ჩვენც უნდა გაუბრთხილდეთ მას, მისის მეცადინეობით ჩვენ მივაღწევთ დიდ საექიმო წარმატებას, შევისწავლით ბევრს რამეს ისეთს, რაც ევროპისა და რუსეთის მედიცინოსათვის უცნობია და მკვდარი, ასეთი მნიშვნელობა აქვს ამას, ამიტომ ჩვენც ვალდებულნი ვართ რო მის მნიშვნელობაც არ დავკარგოთ, იგი გამოვიყენოთ ჩვენს საკეთილ დღეოთ.

ამისათვის საჭირო არის სულ სამი სატკივრის მკურნალობის უფლება 1. **ბნედის** 2. **ჭკუაზედ შეშლის** და 3. **მალარიის**. ეს არის, მეტი სხვა არაფერი სატკივრების.

ამის ნება რავას ითხოვს, რის ცოდნაც აქვს და ამ ავათმყოფე-ბასაც. არჩენს, სხვა სატკივრებს ეს ხელს არ ჰკიდებს.

ზ. ჭ.

ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხან. პრ. # 91.

მთავარლიტი #297. შეკვ. # 4833/779. დაიბეჭდა 760 ც.